საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, #01.19.24.007.052 მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (საწყობი, საწარმო, ოფისი) არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის თარიღი	17.05.2024

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
2. პირობითი აღნიშვნები;
3. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
4. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(არქიტექტურული ნაწილი)*;
5. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
6. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
7. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
8. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
9. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
10. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(მისაწვდომობის ნაწილი)*;
11. გზა-კიბეების დეტალიზაცია.
12. ფასადის დეტალური ნახაზები.
13. სახურავის დეტალური ნახაზები.
14. მისაწვდომობის დეტალიზაციები.

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3

ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება ---------- 4

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 5

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 6

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 7

მისაწვდომობის შეფასება ---------- 8

შიგა გარემოს შეფასება ---------- 9

გარე კედლების შეფასება ---------- 10

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 11

წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 12

ლიფტის შეფასება ---------- 13

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, #01.19.24.007.052 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

საპროექტო მიწის ნაკვეთს საზოგადოებრივი საზღვარი ესაზღვრება მთელი პერიმეტრის გასწვრივ. საპროექტო შენობასთან სატრანსპორტო მიმოსვლა ხორციელდება ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან. რაც შეეხება უშუალოდ საპროექტო შენობასთან სახანძრო მანქანის მისადგომი გზების რაოდენობას, ადგილმდებარეობას და სხვა პარამეტრებს, აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია წესების 915 ქვეთავზე დაყრდნობით, რომლის შესახებ დეტალური ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-6 თავში.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა. საპროექტო კომპლექსი შედგება შემდეგი დანიშნულების ობიექტებისაგან:

- #1 შენობა - პროფნასტილის სახურავის საწყობი.
- #2 შენობა - პროფნასტილის სახურავის საწყობი და მისი მომსახურე ოფისი.
- #3 შენობა - პროფნასტილის სახურავის საწარმო.
- #4 შენობა - ოფისი.

დასაგეგმარებელი შენობის ყველა ნაწილი (გარდა საოფისე შენობის +3.20 ნიშნულისა) მისაწვდომია შშმ პირთათვის. მისაწვდომობასთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-8 თავში და დასკვნაზე თანდართულ მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის საფუძველზე განხორციელებულ შეფასებაში.

საპროექტო შენობები ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებითაა აღჭურვილი. თითოეული ასეთი სისტემის მიმართ ანალიზი მოცემულია დასკვნის მე-6 თავში.

საპროექტო შენობები ნაწილობრივ შეიფუთება სენდვიჩ-პანელებით, ნაწილობრივ ბლოკის გარე კედლებით, რომლებიც შეილესება, შეიღებება ან მოპირკეთდება აგურით. გარე კედლებისა და სახურავის ანაწყობებთან მიმართებაში ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-10 და მე-11 თავებში.

1 გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.

- შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:

  - **საქმიანი ჯგუფი სქ** (ადმინისტრაციული სივრცეები საოფისე შენობაში 0.00 და +3.20 ნიშნულებზე; საოფისე სივრცე #2 სააწყობში 0.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 304 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, რომლებიც გამოიყენება საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

  - **საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1** (პროფლასტილის სახურავების საწარმო შენობა 0.00 ნიშნულზე; სახანძრო ტუმბოს, წყლის ავზის და გენერატორის ოთახები #2 შენობაში -2.50 ნიშნულზე) - რაც შეესაბამება 306.2 ქვეთავს, საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე.

  - **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1.** (პროფლასტილის სახურავების #1 და #2 სასაწყობე შენობები 0.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 311.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საწყობად გამოყენებული ისეთი შენობები, რომლებიც არ კლასიფიცირდება როგორც სწ-2 ჯგუფი.
    გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროფლასტილის მასალა მიახლოებულია 311.3 ქვეთავის მიხედვით სწ-2 ჯგუფის ჩამონათვალ მასალებთან, საპროექტო სასაწყობე სივრცეები კლასიფიცირებულია არა როგორც სწ-2, არამედ როგორც სწ-1 ჯგუფი, ვინაიდან 311.3 ქვეთავის მიხედვით სწ-2 ჯგუფის მასალები ინახება ხის ყუთებში, მუყაოს კოლოფებში ან ქაღალდის სახვევებში რაც საპროექტო პროფლასტილის სახურავებისთვის შეუსაბამოა.

- თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:

  - საოფისე სივრცეებისთვის ----------9,3 მთლიანი;
  - სასაწყობე სივრცეებისთვის ---------- 46.5 მთლიანი;
  - საწარმოო სივრცისთვის ---------- 9.3 მთლიანი;
  - ტექნიკური სივრცეებისთვის---------- 27,9 მთლიანი;

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2 შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- წარმოდგენილი დოკუმენტაციით, საპროექტო შენობების სიმაღლე და სართულიანობა განსაზღვრულია შემდეგი სახით:
  - #1 საწყობი (ჯგუფი სწ-1) ერთ სართულიანია და მისი სიმაღლე უტოლდება 9.7 მეტრს.
  - #2 საწყობი (ჯგუფი სწ-1) ორ სართულიანია, 1 მიწის დონის ქვედა და 1 მიწის დონის ზედა სართულებით. მისი სიმაღლე უტოლდება 9.4 მეტრს.
  - საწარმო შენობა (ჯგუფი სმ-1) ერთ სართულიანია და მისი სიმაღლე უტოლდება 6.9 მეტრს.
  - საოფისე შენობის (ჯგუფი სქ) სართულიანობა განსაზღვრულია ორი მიწის დონის ზედა სართულით და აღნიშნული შენობის სიმაღლე უტოლდება 6.9 მეტრს.

- საპროექტო შენობები შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეული შენობის დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის მიხედვით და აღნიშნულის შესაბამისად #1 საწყობის და საოფისე შენობისთვისთვის გათვალისწინებულია **V-B კონსტრუქციის ტიპი**, ხოლო #2 საწყობისა და საწარმო შენობისთვის **I-B კონსტრუქციის ტიპი.**

3 კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო კომპლექსის შემადგენელი შენობებისათვის სხვადასხვა კონსტრუქციული სახეობაა მინიჭებული. #1 საწყობის და საოფისე შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის ფართობის გათვალისწინებით, მათთვის მინიჭებულია VB ტიპის კონსტრუქციის კატეგორია, ხოლო ძირითადი სასაწყობე და საწარმოო შენობა, ზემოაღნიშნულ პარამეტრებზევე დაყრდნობით შეესაბამება IB კონსტრუქციას.

- რაც შეეხება შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხებს, VB ტიპის კონსტრუქციისათვის, ასეთი ცეცხლმედეგობის ხარისხები არ განისაზღვრება, ხოლო IB კონსტრუქციის სახეობის ცეცხლმედეგობისადმი მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს 601 ქვეთავს შემდეგი სახით:

- ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ---------- 2სთ.
- გარე და შიგა მზიდი კედლები ---------- 2სთ.
- იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 2სთ.
- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 1 სთ.

  არქიტექტურული პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში ასახულია ასეთი კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხისხებთან მიმართებაში შესაბამისობა, თუმცა კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობების ხარისხი ასევე უნდა დაზუსტდეს კონსტრუქციულ პროექტში „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს 721 და 722 ქვეთავების მიხედვით.

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, VB კონსტრუქციის შენობებისათვის (#1 საწყობი და საოფისე შენობა), მათთვის ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები არაა განსაზღვრული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებზე დაყრდნობით (3,0 მეტრზე მეტი მანძილი), თანახმად 602 ცხრილისა. რაც შეეხება IB ტიპის კონსტრუქციის შენობას (ძირითადი საწყობი და საწარმოო შენობა), მხოლოდ 1-32 და ც-ა ღერძებში გახდა საჭირო 1 საათიანი ცეცხლმედეგი კედლის უზრუნველყოფის ვალდებულება.

4 ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება:

- პროექტით გათვალისწინებულია გარე სივრცეში, ამავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში ავტოსადგომების მოწყობა.

- გარე ავტოსადგომი არ შეესაბამება 406.3 ქვეთავით განსაზრვრულ კერძო ავტოფარეხებს და გადახურულ ავტოსადგომებს და ასევე 406.4 ქვეთავით განსაზღვრულ საზოგადოებრივ (დანიშნულების) ავტოსადგომ გარაჟებს, შესაბამისად აღნიშნულ ავტოსადგომს არ აქვს მინიჭებული რომელიმე დაკავებულობის ჯგუფი, რაც წესებთან მიმართებაში სწორია, თუმცა მასზე გავრცელებულია 406.9 ქვეთავით გათვალისწინებული მოთხოვნები, რაც სრულად არის შესაბამისობაში წესებთან.

- ავტოსადგომები განთავსებულია ამავე მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, რაც აკმაყოფილებს 406.9.2.3 ქვეთავის მოთხოვნას.
- ავტოსადგომებზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომები შეესაბამება 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს.
- საავტომობილო გზების სიგანე აკმაყოფილებს 406.9.4.1 და 406.9.4.7 ქვეთავების მოთხოვნას და გზების სიგანე უტოლდება სულ მცირე 3.5 მეტრს.
- საავტომობილო გზის შიგა მოხვევის რადიუსი აკმაყოფილებს 406.9.4.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- საავტომობილო გზის ქანობი აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს,
- ავტოსადგომზე ავტომობილისათვის განკუთვნილი გასავლელის სიგანე (თითოეული ავტომობილის სადგომისთვის) აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.
- ავტომობილისთვის განკუთვნილ თითოეულ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომები, რაც შეესაბამება 406.9.4.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- ავტოსადგომზე ავტომობილებისთვის განკუთვნილი ადგილები დახაზულია, თანახმად 406.9.4.6 ქვეთავისა.
- ავტოსადგომზე შშმ პირთათვის გათვლილი მისაწვდომი ავტომობილის სადგომების რაოდენობა შეესაბამება 1106.1 ცხრილს, კერძოდ მოწყობილია ერთი მიკროავტობუსისთვის განკუთვნილი მისაწვდომი სადგომი, რომლის ზომებიც აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-თ განსაზღვრულ ნორმებს.

5 ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- ღიობების გამიჯვნა სამზენაკლები სართულის შენობებისათვის სავალდებულოდ არ განისაზღვრება, თანახმად 705.8.5 ქვეთავისა.
- თითოეული შენობის გარე კედლის ღიობების მაქსიმალური პროცენტულობა შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს. იხილეთ წესების ანალიზი.

- #1 საწყობს და საოფისე შენობას არ ემსახურება პარაპეტი, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 705.11 ქვეთავის პირველ გამონაკლისზე დაყრდნობით, რაც შეეხება #2 საწყობსა და საწარმოო შენობას, მათზე ვრცელდება 705.11 ქვეთავის მე-6 გამონაკლისი.

- საოფისე შენობის მომსახურე შიგა გასასვლელის გზა-კიბისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 1 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 ქვეთავების მოთხოვნას.

- დერეფნები მოწყობილია მხოლოდ საოფისე შენობის საზღვრებში, სადაც დაკავებულობის დატვირთვა, თითოეულ სართულზე ცალკეულად არ აჭარბებს 30 დამკავებელს, შესაბამისად 1018.1 ცხრილზე დაყრდნობით, ასეთი დერეფნების კედლებისათვის სავალდებულოდ არ განისაზღვრება ცეცხლმედეგობის ხარისხები.

- შენობა პასუხობს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს გამიჯვნების კუთხით, თუმცა #2 შენობის საზღვრებში 508.2.4 ქვეთავის მიხედვით, დამხმარე და მთავარი დაკავებულობების გამიჯვნა აუცილებელი არ არის.

- ასევე დაცულია 707.3.10 ცხრილის მოთხოვნა, კერძოდ სწ-1 და სმ-1 ჯგუფები ერთმანეთისაგან გამიჯნულია 3 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდით, რომლის ხარჯზეც წარმოქმნილია ცეცხლისაგან დაცული დამოუკიდებელი ფართები.

- კარის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

- სახანძრო ტუმბო განთავსებულია #2 შენობის -2.50 ნიშნულზე. ტექნიკური ფართი შემოსაზღვრულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის კედლებით და 90 წუთიანი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობებით. ყოველივე აღნიშნული კი შეესაბამება 913.2.1 პუნქტის მოთხოვნას.

6 ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- ავტოსაშხეფი სისტემა განთავსებულია #2 სასაწყობე შენობასა და საწარმოო ფართში, რაც შეესაბამება 903.2.4 და 903.2.9 ქვეთავების მოთხოვნებს.

- რაც შეეხება #1 სასწყობე ფართს და საოფისე შენობას, 903 ქვეთავზე დაყრდნობით, მათი ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვის ვალდებულება არ განისაზღვრება.

- რაც შეეხება ავტოსაშხეფი სისტემის მომსახურე სახანძრო ტუმბოს და წყლის ავზს, ასეთი მექანიკური მოწყობილობების სივრცე განთავსებულია #2 შენობის -2.50 ნიშნულზე. მასთან მიდგომა შესაძლებელია გარე სივრციდან დაუბრკოლებლად. ასეთი ოთახი სხვა ფართობებისაგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ზღუდეებითა და 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის კარის ანაწყობებით.

- სახანძრო ტუმბოს შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლით. სახანძრო მისაერთებლები განთავსებულია შენობის ფასადზე სახანძრო მანქანის მისადგომის მხრიდან და ადვილად დასანახი და ამოსაცნობია, რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნას. მისაერთებელთან დაცულია 0,8მ.X0.9მ. და 2 მეტრის სიმაღლის თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- ავტოსაშხეფი სისტემა უნდა მოეწყოს NFPA 13-ის მოთხოვნების დაცვით. სახანძრო ტუმბოები, სამართავი და მაკონტროლებელი მოწყობილობები, დაცული და ტესტირებული უნდა იყოს NFPA 20-ის შესაბამისად. ასევე დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება. ხანძარქრობის სისტემის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- 905.3.1 ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. მსგავსი სიმაღლე საპროექტო შენობაში არ გვხვდება, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზოგადი მოთხოვნების გათვალისწინებით, მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით მოწყობილია შენობაში.

- თანახმად 905.6 ქვეთავისა, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების სახელოს მისაერთებლები უნდა განთავსდეს 905.4 ქვეთავში I კლასის და 905.5 ქვეთავში II კლასის სახანძრო მილდგარებისათვის განსაზღვრულ ადგილებში. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ავტოსაშხეფით სრულად აღჭურვილ შენობაში I კლასის მილდგარების გამოყენება დასაშვებია.

თანახმად 905.4 ქვეთავისა:

- გზა-კიბეებზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ და ქვემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს იატაკებს შორის არსებულ შუალედურ დონეზე, თუ სხვაგვარად შეთანხმებული არაა სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან; წარმოდგენილი პროექტით, მილდგარები განთავსებულია #2 სასაწყობე ფართისა და საწარმოო შენობის საზღვრებში. ასეთი სახით მილდგარების განთავსების საკითხი უნდა შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო სამსახურში.

თანახმად 905.5 ქვეთავისა:

- II კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში. აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პროექტით დაცულია.

მილდგარები უნდა მოეწყოს NFPA 14 ის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ასევე დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება. ხანძარქრობის სისტემის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია თითოეულ შენობაში, თითოეული სართულის დონეზე, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას. ხელის ცეცხლმაქრები მოეწყოს NFPA 10_ის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმოჩენი სისტემები:

- თითოეული შენობა აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფებით, რომლებიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას. ყოველივე აღნიშნული შესაბამისობაშია 907 ქვეთავის მოთხოვნებთან.

- თითოეულ შენობაში უზრუნველყოფილია განგაშის შეტყობინების მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.5.2 ქვეთავს.

- თითოეული შენობა აღჭურვილია კვამლის ავტომატური აღმოჩენებით, რაც შეესაბამება 907 ქვეთავის მოთხოვნას.

- მხედველობითი განგაშის მოწყობილობებით აღჭურვილია საჯარო და საერთო გამოყენების ფართები, რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- <u>სახანძრო განგაშის სისტემები უნდა მოეწყოს NFPA 72 ის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ასევე დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება. სახანძრო განგაშის სისტემის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.</u>

კვამლის და სითბოს გაწოვა:

- იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო სწ-1 და სმ-1 შენობები არ შეესაბამება 910.2.1 ქვეთავის პარამეტრებს, ასეთი ფართებიდან კვამლისა და სითბოს გაწოვის ვალდებულება არ განისაზღვრება.

სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზის დაგეგმარება:

- შენობა-ნაგებობის ტექნიკური სიმაღლე, სახანძრო მანქანის მისადგომის ყველაზე დაბალი ნიშნულიდან ბოლო დაკავებული სართულის იატაკის ნიშნულამდე არ აღემატება 10 მეტრს.

- სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზების სიგანე უმეტეს არეალში უტოლდება 6,0 მეტრს, ასეთი გზა ჩაუხერგავი სიმაღლისაა, ხოლო მოხვევის რადიუსები შესაბამისობაშია 6,0 მეტრს, ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 915.4 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო ისეთ არეალებში სადაც დამატებითი გზაა მოწყობილი, მაგალითად საპროექტო შენობის სამხრეთ არეალში, შენობის უღიობო ფასადის გასწვრივ, ასეთ მონაკვეთში გზის სიგანედ განსაზღვრულია 3.5 მეტრი, რაც მისაღებად მიგვაჩნია, თუმცა საკითხი საჭიროებს დაზუსტდებას და შეთანხმებას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

- ვინაიდან შენობის ტექნიკური სიმაღლე არ აღემატება 10.0 მეტრს, სავალდებულოდ არ განისაზღვრება შენობასთან ავტოკიბის მიდგომის საკითხი. თუმცა ამჟამად დაცულია 915.7 ქვეთავის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზა უნდა მიდიოდეს შენობის მთავარ შესასვლელ კარამდე არა უმეტეს 15 მეტრის დაშორებით. მისასვლელი გზა უნდა მოეწყოს ისე, რომ შენობის პირველი სართულის გარე კედლის ნებისმიერი ნაწილი განთავსებული იყოს სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზიდან არა უმეტეს 45 მეტრის მანძილზე.

- სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზების დახრა არ აღემატება 10%-ს, რაც შეესაბამება 915.16 ქვეთავის მოთხოვნას.

- ჩიხის ბოლოს გათვალისწინებულია სახანძრო ტექნის მოსატრიალებელი სივრცე, 15მX15მ-ის სახით, რაც შეესაბამება 915.23 ქვეთავის მოთხოვნას. ჩიხის სიგრძე აღემატება 150 მეტრს, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორიის პერიმეტრის გასწვრივ სრულად საზოგადოებრივი სივრცეებია განთავსებული, რაც მარტივი ლავირების შესაძლობლობას იძლევა, აღნიშნული შესაძლებლად მიგვაჩნია, თუმცა საკითხი უნდა შეთანხმდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

7 გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- თითოეული შენობისთვის გასასვლელების რაოდენობა აკმაყოფილებს 1021.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- #1 სასაწყობე სივრცე გარე სივრცეს უკავშირდება პირდაპირ, შესაბამისად 1021.2 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისის თანახმად, დასაშვებია 1015.1 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილ ოთახებს, ფართობებს და სივრცეებს რომელთა გასასვლელები შენობიდან გამოსასვლელის დონეზეა და პირდაპირ გარეთ გადის, ემსახურებოდეს ერთი გასასვლელი. იმის გათვალისწინებით რომ საპროექტო #1 შენობის დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 1015.1 ცხრილით განსაზღვრულ მონაცემს, დასაშვებია შენობა სემსახურებოდეს ერთი გასასვლელი გზა-კარის სახით.
- #2 სასაწყობე სივრცის -2.50 ნიშნულზე განთავსებულ სახანძრო ტუმბოს და გენერატორის ოთახებს, მათი დაკავებულობის დატვირთვისა და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილის გათვალისწინებით ესაჭიროება თითო გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია და რაც აკმაყოფილებს 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნებს.
- #2 სასაწყობე სივრცის და მისი მოსახურე საოფისე სივრცის ჯამური დაკავებულობის დატვირთვა 0.00 ნიშნულზე უტოლდება 48 დამკავებელს. აღნიშნულ სივრცეს გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილის გათვალისწინებით ესაჭიროება ორი გასასვლელის მოწყობა, რაც წარმოდგენილი პროექტით დაკმაყოფილებულია და ემსახურება სამი გასასვლელი, გზა-კარის სახით, რაც აკმაყოფილებს 1021.2 და 1021.2.4 ქვეთავების მოთხოვნებს
- საწარმო სივრცის დაკავებულობის დატვირთვა უტოლდება 177 დამკავებელს, შესაბამისად აღნიშნულ სივრცესაც მოეთხოვება ორი გასასვლელი, თუმცა წარმოდგენილი პროექტით მითითებულ სივრცეს ემსახურება ოთხი გასასვლელის გზა-კარი რაც აკმაყოფილებს 1021.2 და 1021.2.4 ქვეთავების მოთხოვნებს.
- საოფისე შენობის დაკავებულობის დატვირთვა +3.20 ნიშნულზე არ აღემატება 29 დამკავებელს, ხოლო 0.00 ნიშნულის დონეზე 49 დამკავებელს, ასევე ორივე სართულის დონეზე, გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილი არ აღემატება 23 მეტრს. ზემოაღნიშნული მონაცემების 1021.2(2) ცხრილზე დაყრდნობით, შენობის ორივე სართულს მოეთხოვება თითო გასასვლელი რაც წარმოდგენილი პროექტით მეორე სართულის დონისთვის გათვალისწინებულია გზა-კიბის, ხოლო პირველი სართულის დონეზე გზა-კარის სახით.

- საოფისე შენობის მომსახურე შიგა გასასვლელის გზა-კიბე გარე სივრცეს უკავშირდება პირდაპირ, რაც აკმაყოფილებს 1022.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ზემოაღნიშნული შიგა გასასვლელის გზა-კიბის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 2 საათით, თანახმად 1022.2 ქვეთავისა, ამას გარდა შიგა გასასვლელის გზა-კიბეში მოეწყობა მხოლოდ 1022.5 ქვეთავის შესაბამისი გაყვანილობები.

- გზა-კიბის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების მმ გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა გაკილებით ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.10 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და კიბის სიგანე უტოლდება 1.36 მეტრს.

- გზა-კიბის საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ამასთანავე თითოეულ კიბეზე, თითოეული მარშის საზღვრებში საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა.

- გზა-კიბის ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები. ასევე კიბის მიმართულებით გაღებული კარი, კიბის ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად. რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.

- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.

- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.

- შენობის სახურავზე მიდგომა არ მოეთხოვება ოთხზე ნაკლებსართულიან შენობებს, თანახმად 1009.16 ქვეთავისა.

- თითოეული შენობის თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილებულია 1015.1 და 1014.3 ცხრილების მოთხოვნა და თითოეული დაკავებულობის ჯგუფი სარგებლობს შესაბამისი რაოდენობის გასასვლელი საშუალებით დამკავებელთა რაოდენობიდან გამომდინარე.

- ყველა იმ სივრცეში სადაც საჭიროა ერთზე მეტი გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის მოწყობა, სულ მცირე ორ გასასვლელს შორის დაცულია სივრცის მასიმალური დიაგონალის 1/2-ზე მეტი მანძილი, თანახმად 1015.2.1 ქვეთავისა.

- საოფისე შენობაში დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.90 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნების თავისუფალი სიგანე უტოლდება სულ მცირე 2.45 მეტრს.

- თითოეულ შენობაში კარის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობების მომსახურე თითოეული გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომი კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.82 მეტრია.

- მწკრივში განთავსებული ყველა კარი აკმაყოფილებს 1008.1.8 ქვეთავის მოთხოვნას.

- თითოეული სივრცისთვის უზრუნველყოფილია საერთო სავალი ბილიკისადმი მოთხოვნები 1014.3 ცხრილის შესაბამისად.

- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, თითოეული სივრცისთვის აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.

- ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.

- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა მისაწვდომ გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშანი, მათ შორის ბრაილითა და ამობურცული სიმბოლოებით მოწყობილია გზა-კიბეების იატაკის დონეზე არსებულ თითოეულ ბაქანზე.

8 მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია.

- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრციდან შენობის ყველა შესასვლელემდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე (გარდა საფისე შენობის მეორე სართულისა), თანახმად 1104 ქვეთავისა.

- საოფისე შენობის +3.20 ნიშნულზე არაა გათვალისწინებული მისაწვდომობა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ სართულზე ფილის ფართობის 280 კვ.მ.-ზე ნაკლებია, რაც დასაშვებია 1104.4 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისით.

- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- გარე ავტოსადგომის საზღვრებში განთავსებულია 7 ავტოსადგომი სივრცე და მათგან 1 ცალი სადგომი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1106.1 ცხრილის მოთხოვნას. 1106.5 ქვეთავის თანახმად კი მისაწვდომი ავტოსადგომი წარმოადგენს მიკროავტობუსისათვის მისაწვდომ სივრცეს. მისაწვდომი ავტოსადგომი უმოკლეს მანძილზეა განთავსებული შენობის მომსახურე მისაწვდომი შესასვლელიდან, რაც შეესაბამება 1106.6 ქვეთავის მოთხოვნას.

- თითოეულ შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავის მოთხოვნას. ტუალეტის ოთახების მისაწვდომობისადმი მოთოვნები შეესაბამება მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებს.

- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას.

  თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.

9 შიგა გარემოს შეფასება:

